

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პედის  
მრეწველობის ინსტიტუტი**

**პროექტის დასახელება: წითელი ჯიშის ყურძნებიდან პურის  
ნატურალური ანტიოქსიდანტური  
დანამატის მიღების ტექნოლოგიის  
გამოქვლევა**

( ა ნ გ ა რ ი შ ი )

ნომინაცია: გამოყენებითი

პროექტის ხელმძღვანელი : ნუგზარ ბადათურია

## ანოტაცია

### თემის დასახელება: პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის ტექნოლოგია

**დანიშნულება:** პურისა და საკონდიტრო მრეწველობა

**მოთხოვნილება:** მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პურის მოხმარება, რაც მირითადად გამოწვეულია იმით, რომ პურის ხელოვნური გამაუმჯობესებლების და მათ შორის განსაკუთრებით გლუტენის მასიურმა გამოყენებამ გამოიწვია ურთულესი დაავადების – ცერიაკიისა და სხვა საშიში დაავადებების გავრცელება. პურის ხელოვნურ გამაუმჯობესებლებს იყენებენ დაბალი ხარისხი ფექილის პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთელს მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება პურის ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე.

ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ხელოვნური გამაუმჯობესებლების ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყურძნიდან სპეციალური ტექნოლოგიით მიღებული ნატურალური ექსტრაქტები. ამ ექსტრაქტებში არსებული დაბალმეტოქსილირებული პექტინი, ლინინის მჯავა და გლუკოზა ხელს უწყობენ პურის ხარისხის გაუმჯობესებას და მთლიანად გამორიცხავენ ხელოვნური დანამატების გამოყენების აუცილბლობას. ყურძნის ექსტრაქტში არსებული ფენოლური ნაერთები კი პურფუნთუშეულს სძენენ ანტიოქსიდანტურ თვისებებს.

ყურძნის ფენოლურ ნაერთებს გააჩნიათ ადამიანის ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დაავადებების გამომწვევით თავისუფალი რადიკალიზაციის უნარი, რის გამოც მათ საფუძველზე დამზადებული კვების პროდუქტები იძენენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (ინფაქტი, ინსულტი, თრომბოზები) წინააღმდეგ.

ქვემოთ მოყვანილია ყურძნის ფენოლური ნაერთების სამკურნალო თვიებები.



ამდენად, ყურძნის ნატურალური გამაუმჯობესებელი (გრეიპანტი) პურცხობის მაჩვენებლებს გაუმჯობესებასთან ერთად პურსა და საკონდიტრო ნაწარმს სძენს სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს.


**შედარება უცხოურ ანალოგთან.** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში პურის ნატურალური დანამატების მისაღებად იყენებენ იქ არსებულ ტრადიციულ ნედლეულს. მაგალითად, იაპონიაში საამისოდ გამოიყენება ზღვის პროდუქტები, ევროპაში – რძის გადამუშავების ნარჩენები და ა.შ.

ყურძნისეული წარმოშობის პურის ქართულ გამაუმჯობესებელს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, რადგანაც ის, ცნობილი გამაუმჯობესებლებისაგან განსხვავებით, ხასიათდება ანტიოქესიდანტური თვისებებებით, რის გამოც მისი გამოყენებით დამზადებული პური და საკონდიტრო ნაწარმი შეიძლება გამოყენებულ იქნას რადიაციით დაბინძურებულ რეგიონებში (უკრაინა, ბელორუსია, იაპონია, საქართველო), აგრეთვე დაბინძურებული ატმოსფეროს მქონე დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებისათვის.



**პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის (გრეიპანტის)**

**მიღების ტექნოლოგიური პროცესის სქემა**



## შესავალი

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პურის მოხმარება, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ პურის ხელოვნური გამაუმჯობესებლების და მათ შორის განსაკუთრებით გლუტენის მასიურმა გამოყენებამ გამოიწვია ურთულესი დაავადების – ცერიაკიისა და სხვა საშიში დაავადებების გავრცელება. პურის გამაუმჯობესებლებს იყენებენ დაბალი ხარისხი ფქვილისაგან მიღებული პურის შენახვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად. ქვემოთ მოყვანილია საქართველოში ფართოდ გამოყენებული პურცხობის გამაუმჯობესებლის ქიმიური შედგენილობა.

### პურის ხელოვნური დანამატის

#### “პლატინის” შედგენილობა:

გენმოდიფიცირებული სოიოს ფქვილი

კალციუმის კარბონატი (E 170)

ანტიოქსიდანტი(ასკორბინის მჟავა E 300)

ფერმენტები (ალფა ამილაზა, პემიცელულაზა, ლიპაზა)

გლუტენი

კოლერი

საქართველოში ფართოდ გავრცელდა გადაუმოწმებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, თითქოს, შავი პური ნაკლები რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებს, დაბალკალორიულია და ამდენად რეკომენდირებულია დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალო–პროფილაქტიკური კვებისათვის.

ცხრილი 1-ის მონაცემებიდასნ ჩანს, რომ ეს მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში პრაქტიკულად არ შემოაქვთ შავი პურის მისაღებად საჭირო ჭვავის ფქვილი. შავი პურის მისაღებად გამოიყენება სინთეზური კოლერის სხვადასხვა სახეები, რომლებიც განეკუთვნება საშიშ ან საეჭვო ბუნების საღებავების ჯგუფს. ესენია:

E150 a შაქრის კოლერი 1 უბრალო მიიღება სხვადასხვა შაქარშემცველი ნივთიერებების თერმული დამუშავებით აკრძალულია ზოგიერთ ქვეყნებში.

E150 b Шајроис კოლერი II მიიღება შაქარშემცველი ნივთიერებების თერმული დამუშავებით მიღებულია სხვადასხვა შაქარშემცველი მცენარეების “ტუტე-სულფიტური” ტექნოლოგიით. აკრძაპულია ზოგიერთ ქვეყნებში.

E150 c Сахарный колер III მიიღება “ამიაკური” ტექნოლოგიით სხვადასხვა დასახელების შაქარშემცველი ნივთიერებების თერმიული დამუშავებით.

E-150d შაქრის კოლერი IV მიიღება “ამიაკურ-სულფიტური” ტექნოლოგიით. შეიძლება მიღებულ იქნას შაქრის ჭარხლისაგან, ლერწმის შაქრისაგან ან სიმინდის სახამებლისაგან. შეიძლება იყოს გენმოდიფიცირებული.

ზემოქმედება: საეჭვო

**სინთეზური საღებავების პოტენციური ეფექტები:** პიპერაქტიურობა; ფალარათი; სისხლისათვის ტოქსიკური; თრგუნავს გიტამინ B6-ის მეტაბოლიზმს.

#### ცხრილი 1

#### პურის მიმღები შემადგენლობა

პურის სახეობა	ქიმიური შემადგენლობა						კალორ ი-ები 100 გ	ათვისება (%)		
	(%)	წყა ლი	ცილე ბი	ცხიმე ბი	სახამებ ა-ლი	უჯრედ ა-ნა		ცილ ის	ცხიმ ის	სახამე ბ-ლის
70%-იანი ხორბლის ფენილისაგ ან (1 სარისხის ფენილის სტანდარტ თან ახლოს)	41,3	8,1	0,7	48,1	0,2	1,5	237	87	90	96
100%-იანი ხორბლის	43,9	8,3	1,5	42,8	1,5	1,9	224	75	90	90

გქვილისაგ ან (ერთჯერა დი გქვილი, ახლოს ცენტრილიზაცი )										
70%-იანი ჭგავის გქვილისაგ ან (ახლოს გაცრილთა 6)	41,8	5,7	0,8	49,3	0,9	1,4	233	80	87	95
100%-იანი ჭგავის გქვილისაგ ან ახლოს ცენტრილიზაცი )	43,8	6,6	1,0	45,4	1,6	2,0	230	65	85	90

როგორც ცნობილია, პურის დაძველება წარმოადგენს მის ძირითად ნაკლს. დაძველებას იწვევს პურის შენახვისას მასში არსებული სახამებლის ცვლილებები. კერძოდ, პურის ცხობის პროცესში სახამებნელი განიცდის კლეისტერიზაციას, რბილდება, შთანთქავს და იერთებს წყალს. რაც უფრო დიდხანს ინარჩუნებს პური წყალს, მით უფრო დიდხანს არ ხდება მისი დაძველება და ამ პროცესთან დაკავშირებული მისი ორგანოლეპტიკური ცვლილებები.

შენახვის პროცესში პურში არსებული სახამებელი რეტროგრადირდება- აღიდგენს ოლიგოსაქარიდულ ნარჩენებს შორის არსებულ წყალბადურ ბმებს, რის შედეგადაც სახამებელი ჰკარგავს ადრე დაბმულ წყალს, ხდება მისი დაშაქრება, სახამებლის მარცვლების ზომა მცირდება, მაგრდება, პურის რბილობი იფშვნება და პური ძველდება.

ცნობილია, რომ სახამებლის დაშაქრებას ხელს უშლის გლუკოზა. გლუკოზის 45%-იანი ხსნარის დამატება 5-6%-ის ოდენობით ორჯერ ამცირებს პურის დაძველების პროცესს.-(). პურში არსებულიო წყლის შენარჩუნებას ასევე ხელს უწყობს პექტინოვანი ნივთიერებები. ამ მხრივ გამოირჩევა დაბალმეტოქსილირებული პექტინები, რომელთა დამატება ფქვილში 0,1-0,2%-ის ოდენობით ხელს უწყობს პურის ხარისხის

გაუმჯობესებას და ამასთან ერთად 5-6%-ით ზრდის პურის გამოსავალს. ექტინის სიძირის გამო ხშირად იყენებენ პექტინშემცველ მცენარეულ ექსტრაქტებს.

პურის ხარის გაუმჯობესებას ასევე ხელს უწყობს მასში ორგანული მჟავების (ლიმონის, ღვინის, რძის) კარსებობა. ხშირად იყენებენ ასკორბინის მჟავასა და მის მარილებსაც, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ანტიდამუანგველებს და ამსუბუქებენ რბილობის პაერის ჟანგბადთან კოტაქტის უარყოფით შედეგებს.

მაშასადამე, პურის დამველების პროცესის შესანელებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირითადად ორი ჟგუფის ინგრედიენტები: სახამებლის დაშაქრების შემანელებელი ნივთიერებები და ნივთიერებები, რომლების ხელს უწყობენ პურში ტენის დიდხანს შენარჩუნებას.

ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებული წინასწარი გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ხელოვნური გამაუმჯობესებლების ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტებისაგან(ბუყი, ჭაჭა) მიღებული ექსტრაქტები. ამ ექსტრაქტებში არსებული დაბალმეტოქსილირებული პექტინი, ღვინის მჯავა და გლუკოზა ხელს უწყობენ პურის ხარისხის გაუმჯობესებას და მთლიანად გამორიცხავენ ხელოვნური დანამატების გამოყენების აუცილბლობას. ყურძნის ექსტრაქტში არსებული ფენოლური ნაერთები კი პურფუნთუშეულს სძენენ ანტიქსიდანტურ თვისებებს.

ყურძნის ანტიოქსიდანტური პურის ბიოლოგიურ ზემოქმედებას განაპირობებენ ფურძენში არსებული ფენოლური ნაერთები, ვიტამინები, მიკრო – და მაკროელემენტები. ფენოლური ნაერთები იცავენ ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების აგრესიული ზემოქმედებისაგან, კერძოდ ლიპიდების დაჟანგვისაგან.

ყურძნის ფენოლურ ნაერთებს გააჩნიათ ადამიანის ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზაციის უნარი, რის გამოც მათ საფუძველზე დამზადებული კვების პროდუქტები იძენენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (ინფაქტი, ინსულტი, თრომბოზები) წინააღმდეგ.

## 1. პილევის შედეგები


1.1 ფენოლური ნაერთების დინამიკა ყურძნის გადამუშავების პროცესში

ცხრილი 2

ქართული ჯიშის ყურძნებში წყალში სსნადი ტანინის  
(ფენოლური ნაერთების) შემცველობა

ყურძნის ჯიშის დასახელება ტანინის შემცველობა, %, აბს. მშრალ  
ნივთიერებაზე


	რბილობი	კანი	წიგწა	კლერტი
რქაწითელი .....	0,69	8,26	13,40	9,00
გახური მწვანე .....	1,04	8,72	11,94	9,98
ხიხვი.....	1,42	3,60	9,67	9,39
გორული მწვანე .....	1,18	8,42	14,00	9,61
საფერავი .....	0,75	8,89	10,85	9,01
კაბერნე.....	0,55	6,58	8,45	8,93
თაგვერი ქართლის .....	0,88	10,04	9,60	9,58




Схр. 1. Гаნіноі Шеічевелюбіоіс ცვლილюбіоіс სаფერағіоіс үшірмноіс қаңшо (1),  
 წілішібса (2) და დუрдოზе მаღұлар ტბылшо (3)  
 $q_1$  – დოніоіс მოмежішо გаნіноіс ნағінебі Шеічевелюбіа ნефлєуленшо;  
 $q_0$  – ნефлєуленшо გаნіноіс სағыніоі Шеічевелюбіа.

სურ.2 ტანინის შემცველობის დინამიკა და სადეგუსტაციო მაჩვენებლების შეფასება დუღილის პროცესში ჭაჭის დარევისა და დაურევლობის შედეგად მიღებულ ღვინომასალებსა და ღვინოებში.

- 1<sup>1</sup> – ღვინოებში ტანინის შემცველობა
- 2,2<sup>1</sup> – ღვინოების სადეგუსტაციო შეფასებები
- 3 – ტანინის შემცველობა ღვინომასალებში
- 3<sup>1</sup> – სადეგუსტაციო შეფასებები ღვინომასალებში



სურ. 3. ტანინის შემცველობის ცვალებადობა კახური მწვანის (1,1<sup>1</sup>), რქაწითელის (2,2<sup>1</sup>) და საფერავის (3,3<sup>1</sup>) დაღუღებულ ღვინომასალებში მათი ჭაჭაზე (- -) და ჭაჭის გარეშე (-) დაგარგებისას.



სურ.4. ანტოციანების შემცველობა (1,1<sup>1</sup>) და საღეგუსტაციო შეფასებები (2,2<sup>1</sup>) საფერავის ყურძნის ჭაჭის დარევისა (-) და დაურევლობის შედეგად მიღებულ ღვინოებში.

**ქართული ჯიშის ყურძნის გადამუშავების  
მატერიალური ბალანსი**

ჩაიტვირთა			მიღებულია			გამო სავა ლი
დასახელება	რაოდენობა		დასახელება	რაოდენობა		
	დება ლიტრ ი	ტნ		დებალი რი	ტნ	
ყურძნი	-	18,55	1. ღვინომასალა	1317	13,11	
დურდო	1469,4	18,42	მათ შორის:			
მათ შორის:	21727, 3	15,96	a) თვითნადენი			
წვენი(ტებილი)			ცრაქცია	631,5	36,6	
მყარი ფაზა		2,460	б) ნაპრესი ფრაქცია	790,15	45,7	
			გლიფუზიური წვენი	300	17,4	
			2. ტებილის დანაკარგი	51,4	2,46	2,9
			3. ყურძნის გამონაპრესი			13,4

## **1.2 წითელი ჯიშის ყურძნიდან პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის ტექნოლოგიის გამოკვლევა**

ყურძნის გადამუშავების წინ ყურძნის მარცვლების გაცხელება პირველად როზენშტალის მიერ იქნა შემოთავაზებული. მის მიერ დადგენილი იქნა, რომ ყურძნის გაცხელება დადებითად მოქმედებს მდებავი ნივთიერებების ტკბილში გადასვლაზე და აუმჯობესებს მზა პროდუქტის ხარისხს. ფერი აცხელებდა მთლიან ყურძნეს ( $80^{\circ}\text{C}$   $t=7\text{d}$ ) ცხელი ტკბილით, რომელიც ცირკულირებდა ყურძნის გარშემო.

გადამუშავების წინ ყურძნის გაცხელებისას მიმდინარეობს უჯრედული ქსოვილის მთლიანობის რღვევა, რაც ხელს უწყობს ყურძნის კანიდან წვენში ორგანული ნივთიერებების დიფუზიურის პროცესის ინტენსიფიკაციას. ამით გამოირიცხება ყურძნის მაგარ ნაწილზე ალკოჰოლური დუღილის ჩატარების აუცილებლობა.

გადამუშავებამდე ყურძნის წინასწარი გაცხელებისადმი ინტერესი გამოწვეული იყო იმითაც, რომ ამ დროს ხდება დამუანგველი ფერმენტების ინაქტივაცია, რაც ხელს უწყობს მიღებული დვინის ხარისხის გაუმჯობესებას. თერმიული ზემოქმედების შედეგად პექტინესთერაზის ინაქტივაცია კი აჩერებს პექტინის დემეტოქსილირების პროცესს, რის გამოც დვინომასალაში მცირდება მეტანოლური შემცველობა. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიბრიდული ჯიშების ყურძნების გადამუშავების დროს, რომელთა მარცვლის მყარი ქსოვილები გა დიდი რაოდენობით შეიცავენ პექტინოვან ნივთიერებებს.

შესაძლებელი იყო გვევარაუდა, რომ დუღილის წინ დურდოს გაცხელება ინაქტივაციას გაუკეთებს საფუვრებს და ამით გააძნელებს ტკბილის შემდგომ დადუღებას. ამასთან, ექსპერიმენტულად დამტკიცებული იქნა, საპირისპირო შედეგი. კერძოდ ის რომ  $70-750\text{C}$  ტემპერატურაზე გასტერილებული დურდო გაცივებისთანავე იწყებს ინტესიურ დუღილს. უფრო მეტიც, ასეთ ჭაჭაზე ალკოჰოლური დუღილი იწყება მაღალ, საფუვრებისათვის ინაქტივიზაციისათვის საკმარის ტემპერატურაზე.

გამოთქმული იქნა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს მოვლენა შეიძლება განპირობებული იყოს ან თერმომდგრადი რასის საფუვრების სელექციით, ან დურდოს მაგარი ნაწილებიდან ექსტრაგირებული დუღილის აქტივატორებით, თუმცა დამაჯერებელი მონაცემები ასეთი სახის აქტივატორების არსებობის შესახებ დღემდე არ არის მიღებული.

დურდოს მაღალტემპერატურული დამუშავების შემდეგ, ბუნებრივია ის ხდება სტერილური, მაგრამ გარემო არქში საფუვრების არსებობის გამო ეს უკანასკნელი ათესლიანებენ დურდოს სტერილურ არეს და საფუვრები სწრაფად მრავლდებიან, რადგანაც თერმიული დამუშავებისას მცენარეული უჯრედის მთლიანობა ირდვევა და ტპბილი მდიდრდება საფუვრებისათვის საჭირო აზოტოვანი ნივთიერებებით. დურდოს გამოწეხევისას უფრო მეტი ოდენობით ლებულობენ საკვები ნივთიერებებით გამდიდრებულ ტპბილს, რომელიც წარმოადგენს საფუვრებისა და ბაქტერიებისათვის საკვები ნივთიერებებით გაჯერებულ არეს.


ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ შესამჩნევი ცვლილებები ხდება საერთო ექსტრაქტის შემცველობაში “საფერავის” ჯიშის ყურძნის თბური დამუშავებისას. (დვინო “ქინზმარაული”). აქ ექსტრაქტის შემცველობა ყურძნის ორთქლით დამუშავებისას გაიზარდა 75-დან 83 გ/ლ-მდე “ალექსანდროულის” ჯიშის ყურძნის (დვინო “ხვანჭკარა”) გადამუშავებისას დვინის ქიმიურ შემადგენლობაში ცვლილებები პრაქტიკულად არ შეიმჩნეოდა.

დვინის საკვლევი ნიმუშების მცირე რაოდენობებში აღნიშნული იქნა ისეთი მაჩვენებლების რაოდენობრივი შემცველობების ზრდა, როგორებიცაა უშაქრო ექსტრაქტი, ტანინი, ნაცრის ტუტიანობა. ორთქლით ყურძნის დამუშავებისას გაცილებით უფრო მეტი გავლენა შეიმჩნევა ყურძნის კანიდან წვენში მღებავი ნივთიერებების (ენიდინი) გადასვლაზე. ყურძნის წვენით ყურძნის გარეცხვისას ეს ეფექტი არ შეიმჩნევა. დვინოების ორგანოლეპტიკურმა შეფასებამ აჩვენა, რომ ყურძნის დამუშავება ორთქლით აუმჯობესებს დვინის ხარისხს - დვინო იძენს ხავერდოვნებასა და ინტენსიურ შეფერილობას. გაცხელებული ტპბილით ყურძნის ოერმული დამუშავება კი აუარესებს დვინის ხარისხს, რადგანაც მასში წარმოიქმნა უცხო, კარამელის ტონები (1).

კვლევების შედეგებით დადგენილი იქნა წითელი ყურძნის ჯიშებზე სხვადასხვა მეთოდებით თერმული დამუშავების გავლენა ტპბილში მღებავი ნივთიერებებისა (ანტოციანები) და საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობაზე.

წითელი დვინოების წარმოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყურძნის ისეთი ჯიშების შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ მღებავი ნივთიერებების დიდი მარაგი (ანტოციანები არა ნაკლები 450 მგ/ 1 კგ ყურძნეზე). ასევე ყურძნებს უწინარეს ყოვლისა განეკუთვნება საფერავი, კაბერნე-სავინიონი, ასევე ყურძნის ჰიბრიდული ჯიშები.

კვლევის ობიექტად ჩვენს მიერ შერჩეული იქნა აღმოსავლეთ საქართველოში გაშენებული ქართული ჰიბრიდული ყურძნის ჯიში ვაქირულა.



სურ. 5 ჭაჭის თბური დამუშავების გავლენა ყურძნის ტკბილის სხვადასხვა ფრაქციებში ანტოციანების შემცველობაზე:

- I – დურდოს გამოწეულება მისი წინასწარი დამუშავების გარეშე (საქონებროლო);
- II – დურდოს გაცხელება  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, ტკბილის გამოწეულება ცხელი დურდოდან;
- III – დურდოს გაცხელება  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, ტკბილის გამოწეულება მისი  $20-25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე გაცივების შემდეგ

1 – ნატურალური ყურძნის წვენის თვითნადენი ფრაქცია; 2 – ნატურალური ყურძნის წვენის ნაწევები ფრაქცია; 3 – დიფუზიური ყურძნის წვენის თვითნადენი ფრაქცია; 4 – დიფუზიური ყურძნის წვენის ნაწევები ფრაქცია

ბოლო პერიოდამდე ლიტერატურაში არ არსებობდა ერთიანი აზრი ჰიბრიდული ყურძნის ჯიშების (იზაბელა) უვნებლობის შესახებ. დიგლიკოზიდების შემცველი ყურძნის ჰიბრიდული ჯიშების უვნებლობის საკითხზე პოლემიკა დაიწყო გასული საუკუნის შემდეგ წლებში, როდესაც ბრეიდერმა (1959-1971), წიწილებზე ცდების ჩატარების შემდეგ გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ, თითქოს, ჰიბრიდული ყურძნის ჯიშებიდან მიღებული დგინომასალები

მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მავნე ზემოქმედების მიზეზად მან მიიჩნია პიბრიდული ჯიშის ყურძნებში დიგლიკოზიდების არსებობა. ბოლო წლების გამოკვლევებით (ალლეველდტი 1960, ზიმმერმანი 1960; შორხი, 1968; სცოვებსანდი და სხვა 1969, 1972, 1974). ბექჯერი და კრაცი, 1977; მარტინვა, კონვალოვი, ვასილენკო, 1978), დიგლოზიდების შემცველობის მიხედვით დვინოების ტოქსიკურობა არ დადასტურდა. დამაჯერებლად იქნა დამტკიცებული ის, რომ არსებითი სხვაობა ადამიანის ორგანიზმზე ფიზიოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით პიბრიდული და არაპიბრიოდული ყურძნის ჯიშებიდან მიღებულ დვინოებს შორის არ არსებობს. ამრიგად, მითი პიბრიდული ჯიშის ყურძნებიდან მიღებული დვინოების ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის შესახებ (იზაბელა და ყურძნის სხვა პიბრიდული ჯიშები) მოგონილია ფრანგი მეწარმეების მიერ, რომელთა ძვირადლირებული დვინოები ვერ უძლებენ იაფფასიანი ამერიკული პიბრიდული ჯიშის(ვიტის ლაბრუსკას) ყურძნებიდან მიღებული დვინოების კონკურენციას. ი. პოტაპენკოს სახელობის მევენებეობისა და მედვინეობის ინსტიტუტის( ქ.ნოვოჩერსკასკი) ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გამოკვლევებმა ასევე დაადასტურეს ამერიკული იზაბელას პიბრიდული ჯიშის ყურძნის სრული უვნებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ორგანიზაციის დებულების თანახმად “ყურძნის ახალი ჯიშის კულტივირების ნებართვის მიღებისათვის ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მხოლოდ მისი აგრობიოლოგიური, ტექნოლოგიური და ხარისხობრივი დახასიათება და არა მისი წარმოშობა და გენეალოგია”. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მე-14 კონგრეზსა და 89-ე ასამბლეაზე (1999 და 2000 წწ), რომლებიც ჩატარდა დევიზით “ტრადიციები და ნოვატორობა ყურძნის და დვინის სორტიმენტი”, ყურძნის პიბრიდული ჯიშები სრულად იქნენ რეაბილიტირებულები, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქტები.


აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, ს.გ. დურმიშიძის გამოკვლევების თანახმად, დიგლიკოზიდების შემცველობა არ წარმოადგენს ყურზძნის ამერიკული სახეების ტაქსონომიურ ნიშანს. ამასთან, რიგი საწარმოო ყურძნის ჯიშები გარკვეულ წლებში ასევე შეიძლება შეიცავდნენ დიგლოკოზიდებს.

პიბრიდული ჯიშის ყურძნის გაქირულას დურდოს თბურ დამუშავებას ჩვენ ვაწარმოებდით ორი მეთოდით. პირველი მეთოდით დურდოს ვაცხელებდით  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე და შემდგე ცხელ მდგომარეობაში ვწნებავდით მას კალათიან წნებში. მეორე მეთოდით დურდოს ვაცხელებდით  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, შემდეგ დურდოს ცხელ მასას ვტოვებდით დახურულ ჭურჭელში  $t = 20-25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე გასაცივებლად და შემდეგ ვწნებავდით გაციებულ მასას. კონტროლად ვიყენებდით დურდოდან ცივად გამოწნებილ ტკბილს, რომელიც მიღებული იყო ყურძნიდან კლერტის გამოცალკევების შემდეგ.

ყველა საცდელ ვარიანტებში დურდოს გამონაწნებს ვასხამდით მასის 50%-ის ოდენობით წყალს, მიღებულ ნაზავს ვაცხელებდით  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე და გაციებდით ოთახის ტემპერატურმადე. გაციებულ მასას ვაცლიდით თვითნადენს და ნაწებ ფრაქციებს.

წითელი დვინოების ტექნოლოგიაში მთავრ ამოცანას წარმოადგენს ყურძნის მაგარი ნაწილებიდან მდებავი ნივთიერებების, არომატული და საგემოვნო ნივთიერებების მაქსიმალური გამოწვლილვა, ასევე ამ დვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლების ხანგრძლივად შენარჩუნება, მათი შენახვის პერიოდში.

ყურძნის მაგარი ნაწილებიდან (კანი, წიპჭა) როგორც ორგანული, ასევე არაორგანული ნივთიერებების გამოწვლილვა სწარმოებს მათი დიფუზიის შედეგად. ძირითადი პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ ყურძნიდან ფენოლური ნივთიერებების გამოწვლილვის სიჩქარესა და სელექტიურობას წარმოადგენენ ტემპერატურა და პროცესის მიმდინარეობის ხანგრძლივობა.



სურ. 6 ჭაჭის თბური დამუშავების გავლენა ყურძნის  
ტკბილის სხვადასხვა ფრაქციებში საერთო  
ფენოლური ნაერთების შემცველობაზე:

- I – დურდოს გამოწენება მისი წინასწარი დამუშავების გარეშე (საკონტროლო);
- II – დურდოს გაცხელება  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, ტკბილის გამოწენება ცხელი დურდოდან;
- III – დურდოს გაცხელება  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, ტკბილის გამოწენება მისი  $20-25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე გაცივების შემდეგ


1 – ნატურალური ყურძნის წვენის თვითნადენი ფრაქცია; 2 – ნატურალური ყურძნის წვენის ნაწერი ფრაქცია; 3 - დიფუზიური ყურძნის წვენის თვითნადენი ფრაქცია; 4 - დიფუზიური ყურძნის წვენის ნაწერი ფრაქცია

სურათებზე 1 და 2 მოყვანილი შედეგების ანალიზის გვიჩვენებს, რომ ყურძნის თბური დამუშავება არსებით გავლენას ახდენს ყურძნის წვენის სხვადასხვა ფრაქციებში ანტოციანების შემცველობაზე. ცდის საკონტროლო გარიანტში (დურდოს გამოწენება თბური დამუშავების გარეშე) როგორც თვითნადენში, ასევე ტკბილის გამონაწეს ფრაქციებში აღინიშნა ანტოციანური საღებავების უმცირესი რაოდენობა (საშუალოდ 200 მგ/ლ). თბური დამუშავების შემდგე მიღებული დიფუზიური წვენები (თვითნადენი და ნაწერი ფრაქციები), რომლებიც მიღებულია დარჩენილი ჭაჭის წყლით ექსტრაქციის შედეგად,

შეიცავდა 4-ჯერ მეტ როგორც მდებავ ნივთიერებებს, ასევე საერთო ფენოლურ ნაერთებს.

მე-4 სურათის მონაცემებიდან ჩანს, რომ დურდოს თბური დამუშავება გავლენას ახდენს საერთო ფენოლურ ნაერთებში არსებული ანტოციანების შემცველობაზე. მათი მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნა ცდის მესამე ვარიანტში – თბურად დამუშავებული დურდოს დაყოვნებისას მის გამოწევამდე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დიფუზიური წვენი, რომელიც მიიღება დურდოდან თვითნადენი ფრაქციის გამოყოფის შემდეგ. ეს დიფუზიური წვენი ცდის ყველა ვარიანტებში შეიცავს ყურძნის ფენოლური ნაერთების მაქსიმალურ რაოდენობას. ყურძნის ფენოლური ნაერთები კი, როგორც ცნობილია, განსაზღვრავენ წითელი დგინოების ანტიოქსიდანტურ აქტიურობას.



სურ. 8 ჭაჭის თბური დამუშავების გავლენა ტკბილის ფენოლურ ნაერთებში ანტოციანების შემცველობაზე:


- I – დურდოს გამოწევება მისი წინასწარი დამუშავების გარეშე (საკონტროლო);
- II – დურდოს გაცხელება  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, ტკბილის გამოწევება ცხლი დურდოდან;
- III – დურდოს გაცხელება  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, ტკბილის გამოწევება მისი  $20-25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე გაცივების შემდეგ

მსოფლიოს უმრავლეს რეგიონებში ეკოლოგიურ მდგომარეობას დღეს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ოდესმე: განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში ტოქსიკური ელემენტებით გარემოს დაბინძურების მაღალი დონის გამო, ქვეყნის მესვეურები მივიღნენ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მოიძებნოს, დამუშავდეს და წარმოებებში დაინერგოს ფუნქციონალური დანიშნულების პერიოდის პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ინგრედიენტებს. ასეთ საკვებ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შორის კი განსაკუთრებული ადგილი უკავია ყურძნის ფენოლურ ნივთიერებებს.


სამედიცინო პრაქტიკაში ბიოაქტიურ ანტიოქსიდანტურ დანამატად (ბად) ხშირად იყენებენ სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც შეიცავენ მცენარეული ნედლეულიდან მიღებულ ფენოლური ნაერთების სუფთა კონცენტრატებს. უკანასკნელ წლებში ექსპერიმენტალურად იქნა დადასტურებული ის, რომ უფრო მიზანშეწონილია არა სუფთა ფენოლური ნაერთების მიღება, არამედ პროდუქტებისა, რომლებიც შეიცავენ ყურძნის ფენოლური ნაერთებისა და მათი თანმდევი ნივთიერებების მთელ კომპლექსს, რადგანაც პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ჯამურ პოლიფენოლებს და ყურძნის ორგანული კომპლექსის თანმდევ ნივთიერებებს, ხასიათდებიან ანტიოქსიდანტური აქტივობის სინერგიზმით. ბიოაქტიური ნივთიერებების ასეთ კომპლექსურ ექსტრაქტად, რომელსაც გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებები, წარმოადგენს ყურძნის დიფუზიური წვენი.

## წითელი ღვინიდან გრეიპანტის მიღების


### ტექნოლოგიური პროცესის სქემა



ჰიბრიდული ჯიპის ყურძნებისაგან გრეიპანტის  
მიღების ტექნოლოგიური პროცესის სქემა



გრეიპანტის მიღების ტექნოლოგიური  
პროცესის სქემა ბუჟისა და ჭაჭის გამოყენებით



ცხრილი 5


**პოლისაქარიდფებისა და ლიგნინის შემცველობა  
ურმის გადამუშავების მეორად პროდუქტებში (%) მშრალ ნივთიერებაზე)**

ობიექტი	ხსნადი ჰექტარი	პროტოპე- ქტინი	პემიცელუ- ლოზა A	პემიცელუ- ლოზა B	ცელულო- ზა	ლიგნინი
ურმის ჭაჭა	2,8	3,9	13,9	7,8	21,9	32,9
ურმის კლერტები	1,1	2,8	16,7	8,5	19,8	35,9
ურმის წიაღია	1,5	1,8	15,8	9,1	15,5	30,8

ცხრილი 6

**სხვადასხვა ექსტრაგენტების გავლენა  
ჭაჭიდან პექტინოვან ნივთიერებათა გამოსავალზე**

ექსტრაგენტი	მჟავის გონიცენტრა- ცია, %	პექტინის გამოსავალი, %		
		1	11	111
ლიმონის მჟავა	0,5	3,54	3,01	3,03
ლიმონის მჟავა	0,5	2,11	1,91	2,16
ძმარმჟავა	0,5	1,76	1,53	1,73
მჟაუნმჟავა	0,5	2,33	2,22	2,06



ნახ. 9. უკრძნის ჩენჩოსაგან პუქტინოვან ნივთიერებათა ექსტრაქცია.

- 1- მუავის კონცენტრაცია; 2 – დაქუცმაცების ხარისხი; 3 – მოდული;  
4 – ტემპერატურა; 5 - დრო

ცხრილი 7

უკრძნის ჭაჭისაგან მიღებული პუქტინის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

მუავის კონცენტრაცია, %	მაჩვენებლები					
	პუქტინის საერთო გამოსავალი, %	ურონიდები, %	მეტოქსილის ჯგუფები	ნაცრის ელემენტები	0,5%-იანი ხსნარის სიბლანტე	0,6 %-იანი ხსნარის ლაბის წარმოქმნის უნარი, მმ.ს.ვ.
0,3	3,05	82,1	10,60	4,00	150	145
0,5	3,82	85,3	8,41	3,73	172	161
0,7	4,01	89,2	6,08	3,30	169	157
1,0	4,10	91,6	4,49	2,98	150	132

## დასპონები და ფინანსები

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები და წინადაღებები:

1. პირველად იქნა დადგენილი პურის ნატურალური გამაუმჯებესებლის - გრეიპანტის (grape-peptide; anti-alpha-1-proteinase inhibitor) მიღების ხერხი წითელი ჯიშის ყურძნიდან;
2. დადგენილია გამაუმჯობესებლის გამოსავალსა და სარისხები სხვადასხვა ფაქტორების გავლენა;
3. დურდოს თბური დამუშავების ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიჩნეულია ის, რომელიც ითვალისწინებს წვენის გამოწნეხვის წინ დურდოს თბურ დამუშავებას და დაყოვნებას 10-12 სთ-ს განმავლობაში;
4. პირველად იქნა შესწავლილი ყურძნის დიფუზიური წვენის ქიმიური შედგენილობა; სხვადასხვა ფაქტორების გავლენა გამაუმჯობესებელში ფენოლური ნაერთებისა და ანტოციანების შემცველობაზე. დადაგენილია, რომ გამაუმჯობესებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც თვითნადენი ფრაქცია, ასევე ყურძნის დიფუზიური წვენი.

## გრეიპანტი

**გრეიპანტი** ესაა ყურძნის ფენოლური ნაერთების კონცენტრატი. ის გამოიყენება უშუალოდ როგორც სამკურნალო–პროფილაქტიკური დანიშნულების ნატურალური წვენი და ასევე როგორც ბიოლო–გიურად აქტიური საკვები დანამატი პურისა და საკონდიტრო ნაწარმის დამზადებისას, რძის მრეწველობაში, ახალი ასორტიმენტის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების მისაღებად.

გრეიპანტი მდიდარია ყურძნის ფენოლური ბუნების პიგმენტებით – ანტოციანებით, რის გამოც ის იმავდროულად წარმოადგენს ნატურალურ საკვებ საღებავს და, როგორც ეს ქვემოთ წარმოდგენილი სურათებიდან ჩანს, კვების პროდუქტებს აძლევს სასიამოვნო ფერს.

### რით აიხსნება გრეიპანტის ბიოლოგიური ზემოქმედება ორგანიზმზე?

გრეიპანტის ბიოლოგიურ ზემოქმედებას განაპირობებენ ყურძნენში არსებული ფენოლური ნაერთები, ვიტამინები, მიკრო – და მაკროელემენტები. გრეიპანტში არსებული ფენოლური ნაერთები იცავენ ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების აგრესიული ზემოქმედებისაგან, კერძოდ ლიპიდების დაუანგვისაგან.

ყურძნის ფენოლურ ნაერთებს გააჩნიათ ადამიანის ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი თავისუფალი რადიკალების წეიტ–რალიზაციის უნარი, რის გამოც მათ საფუძველზე დამზადებული კვების პროდუქტები იძენენ სამკურნალო–პროფილაქტიკურ თვისებებს გულ–სისხლძარღვთა დაავადებების (ინფაქტი, ინსულტი, თრომბოზები) წინააღმდეგ.



## რა არის თავისუფალი რადიკალები?



**თავისუფალი რადიკალები**—ესაა ნაერთები, რომელთაც გააჩნიათ ორგანულ ნივთიერებათა ჟანგვის უნარი. ჩვენი ორგანიზმის უჯრედების კედლები შედგება ლიპიდების (ცხიმების) მოლეკულებისაგან, რომლებიც თავისი ქიმიური სტრუქტურის სპეციფიურობის გამო ყველაზე უფრო მეტად განიცდიან თვისუფალი რადიკალების ზემოქმედებას – ჟანგვით გარდაქმნებს. ლიპიდების დაჟანგვის შედეგად დასუსტებულ უჯრედში თავისუფლად აღწევენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში თვისუფალი რადიკალები და იწვევენ მთელ რიგ დაავადებებს.

**გრეიპანტი** გამდიდრებულია ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ყურნის ფენოლური ნაერთებით, რომელთაც გააჩნიათ თავისუფალი რადაიკალების შებოჭვისა და ორგანიზმიდან გამოტანის უნარი. ამით ყურძნის ფენოლური ნაერთები იცავენ ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისაგან.





## **საიდან წარმოიშვება თავისუფალი რადიკალები?**



თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას ხელს უწყობს ჩვენს გარშემო არსებული არახელსაყრელი გარემო პირობები – დაბინძურებული ჰაერი, საკვები, წყალი, სოციალური პრობლემებით განპირობებული სტრესული მდგომარეობა, ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების მოშლა, ფიზიკური გადაღლილობა, თამბაქოს მოწევა და სხვ.

მაშასადამე, არახელსაყრელ გარემოში მცხოვრები ადამიანისათვის (ეს კი უხეხა თითოეულ ჩვენთაგანს) აუცილებელია ანტიოქსიდანტებით მდიდარი ისეთი საკვების მიღება, როგორიცაა გრეიპანტი და მასზე დამზადებული კვების პროდუქტები.

## **გრეიპანტის წარმოების ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები**

საქართველოს წინაშე მწვავედ დგას ყურძნის პოტენციური რესურსების ათვისებისა და მათგან საექსპორტო პროდუქციის წარმოების საკითხი.

კვების მრეწველობის ინსტიტუტში შექმნილია ახალი ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ყურძნის ადგილობრივი ჯიშებიდან მიღებული ღვინოების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და იმავდროულად თანმდევი პროდუქტის სახით მათგან ნატურალური ენოანტის მიღებას, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ნატურალურ საღებავს.

2007 წელს ევროპარლამენტმა მიიღო დადგენილება კვების პროდუქტებში ხელო-ენური წითელი საღებავების გამოყენების აკრძალვის შესახებ, რაც მკვეთრად ზრდის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებას

ნატურალურ საღებავებზე. ამდენად გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გავზარდოთ ყურძნისაგან საქართველოში პროდუქციის წარმოება.

აღნიშნული ახალი პროდუქტი – ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნატურალური დანამატი მიმდინარე წელს გამოცდილ იქნა პურის ქარხნებში სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პურის მისაღებად. წარმო-ების პირობებში მიღებული შედეგების ანალიზმა (იხ.დანართი) გვიჩვენა, რომ ყურძნის ნატურალური საღებავის გამოყენება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გავზარდოთ წარმოებული პურფუნთუშეულის ხარისხი და უვნებლობა.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ახალი ტექნოლოგიის ფართომასშტაბიანი დანერგვა საშუალებას იძლევა დღეს წარმოებული წითელი ყურძნის საერთო რაოდენობის 40-50% მთლიანად ათვისებულ იქნას საქართველოს კვების მრეწველობაში როგორც ადგილობრივი დანიშნულების, ასევე საქართველოში პროდუქციის მისაღებად.

### **შურმის ბაზამუშავების ახალი ტექნოლოგია**

კვების მრეწველობის ინსტიტუტში შექმნილი ახალი ტექნოლოგია ითვალისწინებს ყურძნის ადგილობრივი ჯიშებიდან მიღებული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებასა და დამატებით ახალი პროდუქტის – ნატურალური საკვები დანამატის (გრეიპანტი) – მიღებას.

ტექნოლოგიის რეალიზაცია მოხდება ყვარლის ღვინის ქარხანაში. მიღებულ პროდუქტები – ღვინომასალა და საღებავი გადატანლ იქნება შესანახად ყვარლის გვირაბში.

სტატისტიკურად დამაჯერებელი შედეგების მიღების მიზნით, სასურველია გადამუშავდეს არანაკლებ 100 ტონა ყურძენი.

ყურძნის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიის ფართო-მასშტაბიანი დანერგვა, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, მომავალში გამორიცხავს ყურძნის შესყიდვაზე სახელმწიფო დოტაციების გაცემის აუცილებლობას.

### **შურმის ბაზამუშავების კალკულაცია**

№	პერაციების დასახელება	ხარჯები, ლარი	
		1 ტონა ყურძენზე	100 ტონა ყურძენზე
1.	ნედლეულის (წითელი ყურძნის) შესაძენი ფასი	700,0	70 000
2.	საქართველო ხარჯები ნედლეულის გადამუშავებისას	200,0	20 000
3.	მზა პროდუქციის დასაფასებლად საჭირო ტარა (200 ლიტრიანი კასრები)	210,0	21 000

4.	რეაქტივები დგინომასალებისა და საღებავების დასამუშავებლად	100,0	10 000
5.	ყურძნის გადამუშავების სეზონზე ინსტიტუტის 3 თანამშრომლის მივლინების ხარჯები კახეთში (სასტუმრო, კვება, გადამუშავება)		2000
6	მზა პროდუქციის შენახვა და დავარგება სიცივის პირობებში (ყვარელის გვირაბში)	500,0	2000
7.	ინსტიტუტის 3 თანამშრომლის მივლინება კახეთში, თვეში ერთხელ პროდუქციის მოსავლელად	500,0	500
8.	ყვარელის გვირაბში მზა პროდუქციის დამუშავების ხარჯები	300,0	600
	<b>სულ</b>		<b>124 300</b>

100 ჭონა ყურძნის გადამუშავების შედეგად  
მიღებული პროდუქციის რაოდენობა და  
ღირებულება

დასახელება	რაოდენობა, ტ	ღირებულება, ლარი	
		1 ლიტრის	სულ
დგინომასალა	35,0	8,0	280 000
ყურძნის საღებავი	30,0	3,0	90 000
<b>სულ</b>			<b>370 000</b>

## დანართი 2

### ყურძნის ანტიოქსიდანტური პური

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, და მათ შორის საქართველოში, არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, როგორც არასდროს, იწევს მედიკოსთა შეშფოთებას. ტოქსიკური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების მაღალი დონე გვაიძულებს შეგქმნათ ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტები. ასეთ პროდუქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნატურალური ფენოლური ნაერთების შემცველ პროდუქტებს.

**ყურძნის ანტიოქსიდანტური პური** გამდიდრებულია ყურძნის ნატურალური ფენოლური ნაერთებით და მათ შორის ნატურალური ფენოლური ბუნების პიგმენტებით – ანტოციანებით, რის გამოც პურის რბილობს სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებთან ერთად აქვს იასამნის სასიამოვნო ფერი.

#### რით აიხსნება ყურძნის ფენოლური ნაერთების ბიოლოგიური ზემოქმედება ორგანიზმების?

**ყურძნის ანტიოქსიდანტური პურის** ბიოლოგიურ ზემოქმედებას განაპირობებენ ყურძნები არსებული ფენოლური ნაერთები, ვიტამინები, მიკრო – და მაკროელემენტები. ფენოლური ნაერთები იცავენ ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების აგრესიული ზემოქმედებისაგან, კერძოდ ლიპიდების დაჟანგვისაგან.

ყურძნის ფენოლურ ნაერთებს გააჩნიათ ადამიანის ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზაციის უნარი, რის გამოც მათ საფუძველზე დამზადებული კვების პროდუქტები იძენენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (ინფაქტი, ინსულტი, თრომბოზები) წინააღმდეგ.

ქვემოთ მოყვანილია ყურძნის ფენოლური ნაერთების სამკურნალო თვისებები.



## რა არის თავისუალი რადიკალები?



**თავისუფალი რადიკალები** – ესაა ნაერთები, რომელთაც გააჩნიათ ორგანულ ნივთიერებათა ჟანგვის უნარი. ჩვენი ორგანიზმის უჯრედების კედლები შედგება ლიპიდების (ცხიმების) მოლეკულებისაგან, რომლებიც თავისი ქიმიური სტრუქტურის სპეციფიურობის გამო ყველაზე უფრო მეტად განიცდიან თვისუფალი რადიკალების ზემოქმედებას – ჟანგვით გარდაქმნებს. ლიპიდების დაუანგვის შედეგად დასუსტებულ უჯრედში თავისუფლად აღწევენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში თვისუფალი რადიკალები და იწვევენ მთელ რიგ დაავადებებს.

**ყურძნის ანტიოქსიდანტური პური** გამდიდრებულია ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ყურნის ფენოლური ნაერთებით, რომელთაც გააჩნიათ თავისუფალი რადიკალების შებოჭვისა და ორგანიზმიდან გამოტანის უნარი. ამით ყურძნის ფენოლური ნაერთები იცავენ ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისაგან.

**საიდან წარმოიშვება თავისუფალი რადიკალები?** თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას ხელს უწყობს ჩვენს გარშემო არსებული არახელსაყრელი გარემო პირობები – დაბინძურებული ჰაერი, საკვები, წყალი, სოციალური პრობლემებით განპირობებული სტრესული მდგომარეობა, ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების მოშლა, ფიზიკური გადაღლილობა, თამბაქოს მოწევა და სხვ. მაშასადამე, არახელსაყრელ გარემოში მცხოვრები ადამიანისათვის (ეს კი ეხება თითოეულ ჩვენთაგანს) აუცილებელია ანტიოქსიდანტებით მდიდარი ისეთი საკვების მიღება, როგორიცაა **ყურძნის ანტიოქსიდანტური პური**.